00011138273384 60

თბილისის სააპელაციო სასამართლო

გრიგოლ რობაქიძის 7ა

საქმე 330310012157722 (3ბ/14-16) 26.01.2016 წელი

ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივა''
მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. #27/29, მე-2 სართული

გეგზავნებათ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი სააპელაციო შესაგებლები, თქვენს სააპელაციო საჩივარზე.

დანართი: სააპელაციო შესაგებლის ასლი 11 ფურცლად
სააპელაციო შესაგებლის ასლი 11 ფურცლად

პატივისცემით,

მოსამართლის თანაშემწე ზაზა ბოხუა

თბილისის სააპელაციო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სააპელაციო შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე
№330310012157722

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"
აპელანტის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მერაბ ლომიძე
მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

მოწინააღმდეგე მხარე:

მესამე პირი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ. თბილისი, გულუას ქ. N6.
პირადი (საიდენ.) ნომერი იურიდიული მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი:

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი პირადი ნომერი იურიდიული მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

ნინო სამადაშვილი
სახელი, გვარი

სახლის ტელ.

577052093
მობილური

ელექტრონული ფოსტა

გაცნობებთ, რომ თქვენი შესაგებელი სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სააპელაციო საჩივრისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინეთ საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
ნიმუში ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

ეთანხმებით თუ არა სააპელაციო მოთხოვნას?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

რომელ ნაწილში?

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე

პირველ ფაქტობრივ უსწორობას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

მე-2 ფაქტობრივ უსწორობას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ახალ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

ძიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სააპელაციო საჩივრის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე

აპელანტი - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს მოთხოვნა: გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდეს სარჩელი, უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული კანონის ნორმები და არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სასამართლოს მიერ სწორად იქნა განმარტებული, რომ სადავო - საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის N2247 განკარგულებით მოხდა კონკრეტული მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფა და ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ არ იქნა წარმოდგენილი ის მტკიცებულებები, რაც განაპირობებდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში კი აპელანტი (მოსარჩელე) ვერ უთითებს რა ფაქტობრივი გარემოება და კანონის რომელი ნორმის არსებით დარღვევას აქვს ადგილი, რომლის არარსებობაც განაპირობებდა სადავო საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას. მით უმეტეს იმ პირობებში, რომ სასამართლოს მიერ გამოკვლეული იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები.

სასამართლოს მიერ, ასევე სწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული „საქართველოს ტყის კოდექსი"-ს, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242-ე დადგენილების ნორმები. კერძოდ: საქართველოს ტყის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად: საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „გარემოს დაცვის შესახებ", „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", „ცხოველთა სამყაროს შესახებ", „წყლის შესახებ" საქართველოს კანონების, მიწის კანონმდებლობის, ამ კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისაგან, ხოლო ამავე კოდექსის მე-5 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად:

ტყე განმარტებულია, როგორც გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე;

სახელმწიფო ტყეს კი წარმოადგენს – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყე;

ამავე კოდექსის მე-14 მუხლის „ა" ქვეპუნქტით: სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის მიხედვით იყოფა: სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს; აღნიშნული ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ კანონმდებელი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით მოაზრებულ ტერიტორიას აქცევს ტყის კოდექსით დადგენილ ტყის ფონდის ფარგლებში. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს წარმოადგენს საქართველოს ტყის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242-ე დადგენილების შესაბამისი ნორმები. აღნიშნული კი თავისთავად განაპირობებს, აპელანტის მითითების უსაფუძვლობასა და დაუსაბუთებლობას, რომ გაუგებარია პირველი ინსტანციის სასამართლომ რატომ გამოიყენა საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლი და რის საფუძველზე მიაკუთვნა სასამართლომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი საქართველოს ტყის ფონდს.

საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილი თანახმად: აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა შეიძლება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

გადაწყვეტილებას ამ კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

საქართველოს ტყის კოდექსის მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტით: სახელმწიფო ტყის ფონდი განმარტებულია, როგორც საქართველოს სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობა; ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად: საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე შეიძლება განხორციელდეს სპეციალური და მიჩენის მიზნით ტყითსარგებლობა, ხოლო ამავე კოდექსის 52-ე მუხლით: საქართველოს ტყის ფონდი გაიცემა მოკლევადიანი (1 წლამდე, მათ შორის, სეზონური) და გრძელვადიანი (49 წლამდე) სარგებლობისათვის. გრძელვადიანი სარგებლობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვადაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის თანხმობით, შესაძლებელია გაგრძელებულ იქნეს ტყის ფონდით სარგებლობის ვადა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242-ე დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი"-ს 27-ე პრიმა მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27-ე სეკუნდა მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის: ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, არხების ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის;

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორად იქნა ასევე დადგენილი, რომ დარიალი ჰესის მშენებლობისათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოსაყოფი მიწის ფართი ექცეოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრდაციული გამოყენების ზონის N6 კვარტალის მე-18 ლიტერში. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 28 დეკემბრის N46 ბრძანებით 2008 წლის 07 ნოემბრის N729 ბრძანებას დაემატა N12 დანართი, რომლითაც დადგენილი იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი. წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის საერთო ფართობი შეადგენს 2990 ჰა ტერიტორიას, რომელიც მოიცავს N2 კვარტლის მე-5 უბანს და NN 5,6, 10, 11, 14, 18, 26, 27, 28, 29, 30, 32, 3, 34, 35, 36, 38, 41, 42, 44, 45, 49, 57, 58 კვარტალებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე უსაფუძვლო და გაუგებარია აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვეული ეროვნული პარკის N6 კვარტლის მე-18 ლიტერი შედიოდა თუ არა სახელმწიფო ტყის ფონდში.

ზემოთ მითითებული ნორმების გათვალისწინებით, ასევე უსაფუძვლოა აპელანტის მითითება, რომ სადავო შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები ორგანო უნდა ყოფილიყო სამინისტრო და არა მთავრობა.

სასამართლოს მიერ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, დავის საგნის ფარგლებში შეფასებული იქნა არსებული მტკიცებულებები, ფაქტობრივი გარემოებები, სადავო განკარგულების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში და მარეგულირებელი ნორმების სწორი ანალიზის, განმარტების საფუძველზე მიღებულ იქნა კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. ამასთან, აპელანტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლიანობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, აპელანტს უარი უთხრათ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და უცვლელად დატოვოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?
დიახ ☐ რის საფუძველზე?
არა ☒

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?
დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა ☒

ოჯენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☐ რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1:საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 11 მაისის №-293 ბრძანება - 1 (ერთი) ფურცელი;
დანართი 2:
ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
10 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში გსურთ დავის განხილვის დასრულება?
ერ სხდომაში რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐
არა ☒ რადგან

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	მაია ბითაძე	15/01/2016 წ.
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060159717152315

ბრძანება №-293

ქ. თბილისი

11 / მაისი / 2015 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე მაია ბითაძისათვის საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ,

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე მაია ბითაძეს მიენიჭოს საქართველოს საერთო სასამართლოებში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მათ შორის, სარჩელის აღძვრის, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემის, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, სარჩელის ცნობის, სარჩელის საგნის შეცვლის, მორიგების, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენის, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღების უფლებამოსილება.

2. მინისტრის მოადგილის მაია ბითაძის არყოფნის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სპეციალურ უფლებამოსილებას ახორციელებს მინისტრის პირველი მოადგილე თეიმურაზ მურღულია.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე მაია ბითაძისათვის საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების შესახებ'' საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს №-503 ბრძანება.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) საჩივრის წარდგენის გზით, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ნანა ზამთარაძის 2015 წლის 6 მაისის N8531 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი — გიგლა აგულაშვილი